

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

დოკუმენტაცია

შტრიხკოდების წამკითხავი მოწყობილობების

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121 მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი
2011 წელი

სარჩევი

- ტექნიკური დოკუმენტაცია
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
- დანართი N1 რეკვიზიტები
- დანართი N2 ფასების ცხრილი, მიწოდების ვადა და ადგილი.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1 იურიდიული პირებისათვის:

- ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

2.1.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები - დანართი №1 -ის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- ბ) სატენდერო წინადადების ფასი (რომელიც უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს) დანართი N2-ის მიხედვით;
- გ) ინფორმაცია გარანტიის შესახებ არანაკლებ 1 წელი.

2.2. პრეტენდენტმა 2.1.3 პუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაცია ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

2.3 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ.

2.4 ამ პუნქტის 2.1.1 და 2.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.5 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.6 ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.6.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიური მიწოდების შესაბამისად.

2.6.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.6.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.7 საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

2.7.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს ხელშეკრულების დადებიდან 35 კალენდარული დღის ვადაში.

მიწოდების ადგილი: თბილისი, წერეთლის გამზირი 144

2.8. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის

2.8.1 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

2.8.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.8.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.8.4 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2.8.5 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).

2.8.6 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

2.8.7 დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

ქეთევან ხარაძე ტელ: 591919090, ელ.ფოსტა: kkharadze@ssa.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ერთის მხრივ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვის კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სააგენტოს საჭიროებისათვის შტრიხკოდების წამკითხავი მოწყობილობების შესყიდვა (კოდი CPV 35126000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება `მიმწოდებელს“.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 35 კალენდარული დღის ვადაში.

მიწოდების ადგილი: თბილისი წერეთლის გამზირი 144

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები.

5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 5.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

6.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული „მიღება-ჩაბარების“ აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა უფლებები

7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

7.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

13.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

13.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი.

14.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

14.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

14.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

15. დამატებითი პირობები

15.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს —————

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. დასკვნითი დებულებები

17.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

18.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია — გვერდზე, — (—) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება `მიმწოდებელთან` ორი ეგზემპლარი - `შემსყიდველთან`.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, მიწოდების ადგილი და ვადა

(შეცვლის თარიღი)

საქონელს გთავაზობთ

_____ (_____) ლარად.

(თანხა ციფრებით)

(თანხა სიტყვიერად)

(პრეტენდენტის დასახელება)

დასახელება	სპეციფიკაცია	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
Voltage requirement:	DC 5v	170ცალი		
Current consumption:	Max 60mA			
Idle current:	20mA			
Light source	670nm			
Scan rate	120 scans/sec			
Decode rate	300 decodes/sec			
ChinesePost;	Codebar; Code39; Code128, Ean8; Ean13, Ean128; ISBN; ISSN; Industrial 2of5, Interleaved 2of5; MSI/Plessey; UPC.			
Available interfaces:	Keyboard Wedge: XT/AT and PS2, RS232, USB			
Shock drop test	1.5m drop onto concrete surface			
Shock vibration test	12-100Hz with 2G for 1 hour			
Weight body	max 160g(excl. Cable)			
Cable length	2m			
Connector	USB USB-A(2.0)			

მოწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ან აღემატებოდეს მოთხოვნილს. მიწოდება ქ. თბილისი წერეთლის გამზირი 144, საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 კალენდარული დღის ვადაში.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____